დანართი №2

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

შპს თბილისის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა-ლიცეუმ მწიგნობართუხუცესის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების მონიტორინგის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფის წევრები
თავმჯდომარე: ქეთევან ბოტკოველი

წევრი: ნათელა ბასილია (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	შპს თბილისის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა-ლიცეუმი მწიგნობართუხუცესი
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	ს/კ: 211360141

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	თბილისი
იურიდიული მისამართი	ნუცუბიძის პლატო, IV მ/რ, ლეო კვაჭაძის ქ. 12
ფაქტობრივი მისამართი	ნუცუბიძის პლატო, IV მ/რ, ლეო კვაჭაძის ქ. 12
საფოსტო ინდექსი	0178
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	www.muschool.edu.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	g.chkondideli@yahoo.com
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	2 135135

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 30 აგვისტოს MES 5 24 0001036293 ბრძანება
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	18 სექტემბერი, 2024

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი
	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი საფეხური	ქართული ენა	თბილისი, ნუცუბიძის პლატო, IV მ/რ, ლეო კვაჭაძის ქ. 12

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

	ზოგადი განათლების საბაზო საფეხური ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო საფეხური	ქართული ენა	თბილისი, ნუცუბიძის პლატო, IV მ/რ, ლეო კვაჭაძის ქ. 12
	ზოგადი განათლების საშუალო საფეხური ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო საფეხური	ქართული ენა	თბილისი, ნუცუბიძის პლატო, IV მ/რ, ლეო კვაჭაძის ქ. 12

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) დირექტორის 2024 წლის 30 აგვისტოს MES 5 24 0001036293 ბრძანების საფუძველზე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს (თავმჯდომარე: ქეთევან ბოტკოველი. წევრი: ნათელა ბასილია (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი) დაევალა, ცენტრში შემოსული კორესპონდენციებში (2024 წლის 18 ივნისი №687629; 19 ივნისი №695946; 02 ივლისი, №785303; 04 ივლისი, №810274; 09 ივლისი, №838049; 10 ივლისი, №839870; 12 ივლისი, №857486; 15 აგვისტო, №979259) ასახული გარემოების გამოკვლევის, შემოწმებისა და მათი დებულების მე-5 მუხლით განსაზღვრული სტანდარტის/სტანდარტების შესაბამისობის დადგენის მიზნით 2024 წლის 18 სექტემბერს არაგეგმიური მონიტორინგის ვიზიტის განხორციელება შპს ქ. თბილისის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა-ლიცეუმ მწიგნობართუხუცესში.
ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 18 სექტემბერს. ბრძანების შესაბამისად განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტებმა შეფასების პროცესი განახორციელეს ადგილზე ვიზიტით ქ. თბილისში. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას წარედგინა უშუალოდ ვიზიტის დაწყებისას.

ვიზიტამდე, სრულფასოვანი შეფასების მიზნით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილ იქნა ცენტრის მიერ წარმოდგენილი კორესპონდენციები, განისაზღვრა დასაზუსტებელი საკითხები. ვიზიტი, ბრძანების თანახმად, განხორციელდა 18 სექტემბერს. ექსპერტებმა დააორგანიზეს შეხვედრები დაწესებულების ხელმძღვანელობასთან, ხარისხის მენეჯერთან, ყოფილი მე-3[5] კლასის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მასწავლებლებთან, სკოლის იურისტთან, ფსოქოლოგთან, ამავე კლასის მშობლებთან და ასევე სატელეფონო გასაუბრება მომჩივან მშობელთან. მიუხედავად იმისა, რომ ექსპერტებისთვის, საქმის ვითარებაში უკეთ გაცნობის მიზნით, მნიშვნელოვანი იყო ამავე კლასის მოსწავლეებთან გასაუბრება და რისთვისაც მოთხოვნილ იქნა მშობელთა ნებართვები, მათთან გასაუბრება ვერ მოხერხდა, მშობელთა მხრიდან უარის გამო. საერთო ჯამში, ვიზიტი წარიმართა თანამშრომლობით გარემოში, დაწესებულებამ ხელი შეუწყო ექსპერტების საქმიანობის განხორციელებას და უზრუნველყო გარკვეული მტკიცებულებების წარმოდგენა. ექსპერტების მიერ, წარმოების ფარგლებში შესწავლილი დოკუმენტების ანალიზისა და ინტერვიუების შედეგად ჩამოყალიბებული მიგნებები გაცნობილი იქნა დაწესებულების წარმომადგენლებისთვის ვიზიტის დასასრულს.

აღსანიშნავია, რომ ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილი დოკუმენტაციისა და სკოლაში ვიზიტის პერიოდში გამორკვეული გარემოებების საფუძველზე არ გამოვლენილა ავტორიზაციის სტანდარტების დარღვევის გარემოებები გარდა მესამე სტანდარტისა, რაც აისახა დასკვნის პროექტში. კერძოდ, მესამე სტანდარტის რიგი ინდიკატორებისა შეფასდა, როგორც არ შეესაბამება. ეს ინდიკატორებია: **3.3.1.4 სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები; 3.4.1.4 - სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს; 3.4.1.6. - სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას; 3.6.2.1 -სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი**. თუმცა სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა სტანდარტების უზრუნველყოფის შესაბამისობის გეგმა და მტკიცებულებები 3.3.1.4 და 3.6.2.1. ინდიკატორებთან მიმართებით, რაც გაზიარებული იქნა ექსპერტთა ჯგუფის მიერ. შესაბამისად საბოლოო დასკვნის ფარგლებში ინდიკატორები 3.3.1.4 და 3.6.2.1. შეფასდა, როგორც სრულად შესაბამისი, ხოლო 3.4.1.4 და 3.4.1.6. როგორც მეტწილად შესაბამისი.

დასკვნა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

V. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი N 3.4.1.4	სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;	სკოლამ უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული აქტივობების გატარება, კერძოდ: უზრუნველყოს ეფექტიანი სადამრიგებლო მუშაობა, რომელიც მიმართული იქნება ბულინგისა და კონფლიქტების წინააღმდეგ, ასევე მოსწავლეებში სოციალურ-ემოციური უნარების განვითარებისაკენ. გააგრძელოს კონკრეტული მასწავლებლის პროფესიული განვითარებაზე ზრუნვა, მასზე დაკვირვება და მთელი სკოლის მასშტაბით გაატაროს პრევენციული ღონისძიებები, რაც მიმართული იქნება ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო გარემოს განმტკიცებისაკენ, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში.
ინდიკატორი N 3.4.1.6	სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;	უზრუნველყოს სკოლის ყველა მშობლის მიერ ხელშეკრულების დანართის გაცნობა, რომელიც გულისხმობს მათი შვილების პერსონალური მონაცემების საჭიროების შემთხვევაში გასაჯაროების საკითხს. შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

VI. რჩევები

სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	რჩევა
ინდიკატორი N 3.6.2.1	სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;	უზრუნველყოს შემოსული რეგისტრირებული კორესპონდენციის განხილვა და მასზე პასუხის მომზადება ვადების დაცვით, რომელიც განსაზღვრულია, სკოლის დირექტორის მიერ 2024 წლის 14 ოქტომბრის N 05/68 ბრძანებით დამტკიცებული საქმისწარმოების წესით.

წარმოგიდგენთ შესწავლილ კორესპონდენციებს (15 აგვისტო):

დანართი N1 - სკოლა ლიცეუმის „მწიგნობართუხუცესი“ ყოფილი მოსწავლის ლ.მ-ს მშობლის (თ. ს. საჩივარი, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრს);
დანართი N2 - მოსწავლე ლ.მ-ს ჯანმრთელობის ცნობები;
დანართი N3 - თ. ს.-ს განცხადება შიდა აუდიტს (ლ.მ-ს საქმესთან დაკავშირებით დამატებითი ფაქტების წარმოდგენის თაობაძე);
დანართი N4 - სკოლა-ლიცემ მწიგნობართუხუცესის (04.07.2024) პასუხი, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს;
დანართი N5 - სკოლა-ლიცემ მწიგნობართუხუცესის (11.07.2024) პასუხი, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს;
დანართები N6-7 „ჩატი“ დამრიგებელთან
დანართები N8- 13 ამონარიდები ლ.მ-ს მათემატიკის რვეულიდან;
დანართები N14-17 - მშობლების „ჩატი“ და „ჩატი“ იურისტთან;

შესწავლილი კორესპონდეციების და შესაბამის პირებთან გასაუბრების საფუძველზე გამოიკვეთა, შემდეგი - ა/წლის 17 ივნისს საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამინისტროში შევიდა საჩივარი, საადვოკატო ბიურო ნაკაშიძე და პარტნიორების (სკ 400259607) მიერ, რომელიც წარმოადგენდა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა - ლიცეუმი „მწიგნობართუხუცესის“

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

იდენტიფიცირებული მოსწავლის მშობელს. **საჩივრის თანახმად** შპს თბილისის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა-ლიცეუმ „მწიგნობართუხუცესის“ მიერ (სკოლის მასწავლებელთა, თანამშრომელთა და დირექტორის მიერ) 8 წლის სკოლის მოსწავლე ლ. მ.-ს მიმართ ჩადენილია არამართლზომიერი ქმედებები, რამაც გამოიწვია ბავშვის მძიმე ფსიქოლოგიურ მდგომარეობამდე მიყვანა.

კერძოდ საჩივარი გვამცნობს შემდეგს:

„ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა-ლიცეუმი „მწიგნობართუხუცესის“ სკოლის მოსწავლე ლ. მ.-სა და კლასელებს შორის, სკოლის საპირფარეშოს ტერიტორიაზე მოხდა ინიციდენტი/გაუგებრობა, კერძოდ, სკოლის მოსწავლეები, მათ შორის **ლ. მ.**, **ი.** და **დ.** იმყოფებოდნენ საპირფარეშოში, სადაც **ლ. მ**.-ს უსამართლოდ და დაუსაბუთებლად დაბრალდა **დ**.-სთვის ტანსაცმლის (შარვლის) გახდა. **ლ.მ-ს** განმარტებით, ბავშვები იმყოფებოდნენ საპირფარეშოში, რა დროსაც საპირფარეშოში იყო არასასიამოვნო სუნი. აღნიშნულის გამო ბავშვებმა სახეზე აიფარეს მაისურები. **დ.** სახეზე მაისურ აფარებული ესაუბრებოდა **ლ.მ-ს,** ვინაიდან **ლ.მ-ს** არ ესმოდა **დ.-ს** საუბარი, სცადა მისთვის პირზე აფარებული მაისურის ჩამოწევა. **დ**. ამ დროს გადაიწია, რამაც გამოიწვია **ლ.მ-ს** მხრიდან ბალანსის დარღვევა, შედეგად კი იგი **დ.-ს** ტანსაცმელზე ჩამოებღაუჭა, თუმცა ამას არ გამოუწვევია ტანსაცმლის გახდა. აღნიშნული ინციდენტი/გაუგებრობის არასწორი ინტერპრეტაცია მოხდა სკოლის დირექტორის და დამრიგებელი მასწავლებლის მხრიდან, რასაც შედეგად მოჰყვა ლ.მ-ს მიმართ დამოკიდებულებების უსამართლო შეცვლა მთელი კლასის და მათ შორის, დამრიგებელი მასწავლებლის მხრიდან.”

აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით (დანართი N4) 4 ივლისს სკოლა-ლიცეუმის მწიგნობართუხუცესის მიერ სსიპ განათლების ხარისხის ცენტრისადმი გაგზავნილ საპასუხო წერილში ნათქვამია, რაც ასევე, ვიზიტის პერიოდში, პირად საუბარში დაგვიდასტურა სკოლის დირექტორმა ზ.ჯ.-მ, რომ მან ადგილზევე მოიკვლია საკითხი, მას შემდეგ, რაც კლასის დამრიგებელი დაუკავშირდა. იგი მაშინვე გამოცხადდა ინციდენტის ადგილას, გაერკვა სიტუაციაში, ესაუბრა მოსწავლეებს და დაადგინა, რომ შარვლის ჩახდას ან რაიმე დამამცირებელ ქმედებას ადგილი არ ჰქონია, შეარიგა ბავშვები და ისინი ნორმალურ მდგომარეობაში დატოვა კლასში. იქვე დააფიქსირა თავისი პოზიცია დამრიგებლის მიმართ და სთხოვა მიექცია ყურადღება ბავშვებისთვის, რომ ამგვარ გაუგებრობას ადგილი არ ჰქონოდა. ამის შემდგომ მშობლებსა და დამრიგებელს შორის შედგა არასწორი კომუნიკაცია, რამაც დაძაბა სიტუაცია, თუმცა სკოლის დირექტორი შეხვდა მათ და გაარკვია ისინი საქმის ვითარებაში, განუცხადა მათ, რომ გაპროტესტებულ ქმედებას ადგილი არ ჰქონია ლ.მ.-ს მიერ, მოაგვარა აღნიშნული კონფლიქტი და მათთან ამოწურა საკითხი, რის შემდგომაც არცერთ მშობელს რაიმე სახის პრეტენზია მოსწავლე ლ.მ.-ს მიმართ სკოლის დირექტორთან არ გამოუხატავთ.

15 მაისს ლ.მ-ს დედამ მიმართა სკოლის დირექციას განცხადებით, რომ კლასის დამრიგებელმა ვერ გაართვა თავი მოვალეობას და გააღვივა აღნიშნული კონფლიქტი მომჩივან მშობელსა და კლასის სხვა მშობლებს შორის. ფაქტის საფუძველზე სკოლამ დისციპლინურ კომიტეტზე განიხილა დამრიგებლის საკითხი. კლასის დამრიგებელმა აღიარა მომჩივან მშობელთან სიტყვიერ შელაპარაკებაში შესვლის ფაქტი და მას

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დისციპლინური კომიტეტის გადაწყვეტილების საფუძველზე მიეცა გაფრთხილება (ბრძანება #03/25), კონფლიქტის გამწვავებასთან დაკავშირებით.

საჩივარში აღწერილია ასევე, რომ დამრიგებელ მასწავლებელს, რომელიც პირველი კლასიდან ხელმძღვანელობდა კლასს, მანამდეც ჰქონდა ლ.მ-ს მიმართ უსამართლო დამოკიდებულება. მაგ: ერთ-ერთ ეპიზოდში, მასწავლებელმა ლ.მ-ს დაავალა იატაკის მოწმენდა და ამ ფორმით ლ.მ-ს საჯარო დამცირება/დასჯა მოახდინა. როგორც საქმის მასალებიდან, ასევე დამრიგებელთან ჩატში მიმოწერიდან ირკვევა, იატაკის დაბინძურება მოხდა ლ.მ-ს მიერ ფეხსაცმლის საშუალებით. მშობელი არ ეთანხმება ფაქტს, რომ ლ.მ-ს ფეხსაცმელს შეეძლო გამოეწვია აღნიშნული ზიანი. გარდა ამისა, მშობელთან საუბრისას ლ.მ-მ აღნიშნა, რომ „გულს მიღმა ბავშვია“, როდესაც დედამ სთხოვა აეხსნა ლ.მ-ს, თუ რას გულისხმობდა, გაირკვა, რომ მასწავლებელი კლასში ხატავდა გულს და ვინც „კარგად იქცეოდა“ გულში წერდა და ლ.მ-ს კი გულს გარეთ.

საჩივარში ასევე აღწერილია ერთი ფაქტი: ქაღალდის კოლოფები იყო კლასში თოკზე ჩამოკიდული, სადაც ხდებოდა სისტემატიურად ბავშების შეფასება ყოფაქცევის მხრივ. კერძოდ მწვანე იყო ცუდი, ხოლო წითელი კარგი. ლ.მ-ს უგროვდებოდა მხოლოდ მწვანე, რასთან დაკავშირებითაც პროტესტს გამოთქვამდა პედაგოგთან. რომელიც განმარტავდა, რომ ეს მწვანე ფერი უგროვდებოდა იმიტომ, რომ ის 2 საათზე ტოვებდა სკოლას და 5 საათამდე არ ჩერდებოდა, რამდენადაც მშობელს ამ დროს მიჰყავდა სკოლიდან, რადგან ბავშვს სკოლის საჭმელი არ მოსწონდა. ყოველივე ზემოთ აღწერილის გამო, მომჩივანის განცხადებით, ლ.მ-ს მშობელი იძულებული გახდა შეეწყვიტა ბავშვის სკოლაში ტარება, 2024 წლის 27 აპრილიდან ბავშვს ამ სკოლაში აღარ უვლია. მშობელმა ბავშვი სხვა სკოლაში გადაიყვანა, რასთან დაკავშირებითაც ხარჯები გაუორმაგდა და მორალურ ზიანთან ერთად ბავშვს და ოჯახს მიადგა ფინანსური ზიანი.

საუბარია ასევე იმ გარემოებაზე, რომ რამდენადაც ლ.მ მიჩვეული იყო თავის სკოლას, კლასელებს, უყვარდა ისინი და შეჩვეული იყო თავის მეგობრებს და მასწავლებლებს, ლ.მ-ს დედამ სთხოვა სკოლის დირექტორს, რათა უზრუნველეყოთ ისეთი გარემოს შექმნა, სადაც ლ.მ შეძლებდა დამშვიდობებოდა თავის კლასელებს და სკოლას, ეს უნდა ყოფილიყო ისეთი გარემო, რომელიც რაღაც ფორმით უზრუნველყოფდა ლ.მ-ს ფსიქოლოგიური, ემოციური მდგომარეობის გაუმჯობესებას და „კარგ ნოტაზე“ სკოლის დატოვებას. თავდაპირველად დაეთანხმნენ მშობლები, თუმცა არ განხორციელდა აღნიშნული. **ამ საკითხთან დაკავშირებით სკოლის პასუხში მოყვანილია ფაქტები, რომ მათ უზრუნველყვეს დამშვიდობების ცერემონიის დაორგანიზება ექსკურსიის სახით, მშობელმა თავისი წილი თანხაც გადაიხადა, თუმცა ლ.მ ექსკურსიაზე არ წაიყვანა.**

როგორც ადვოკატი განმარტავს, სკოლის მასწავლებლის და დირექტორის მხრიდან უსამართლო, რეპუტაციის და ღირსების შემლახველი, მჩაგვრელი და გამრიყავი გარემოს და დამოკიდებულების შექმნის გამო, ლ.მ-ს ემოციური მდგომარეობა დამძიმდა, ბავშვი გახდა აგრესიული, დეპრესიული, შეექმნა გულის პრობლემები და დასჭირდა ფსიქიატრი, რასთან დაკავშირებითაც წარმოდგენილია შესაბამისი სამედიცინო დასკვნები. მისივე განმარტებით, სკოლაში შექმნილი ღირსების შემლახავი დამოკიდებულების გამო, მშობელმა მიმართა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დირექტორს და როგორც თავად ამბობს, დირექტორისგან მიიღო პასუხი: „სადაც არა სჯობს გაცლა სჯობსო“ (კონტექსტი დაუდგენელია). საჩივარში ასევე აღწერილია ფაქტი, რომ ლ.მ-ს დედამ განცხადებით მიმართა სკოლას და მოითხოვა საკითზე რეაგირება, თუმცა განცხადება არ დაურეგისტრირეს და იძულებული გახდა კონსულტაცია გაევლო ადვოკატთან, თუმცა მასთან ოფიციალური ხელშეკრულება არ გაუფორმებია და არც მინდობილობა გაუცია. ამ ადვოკატმა მოახერხა განცხადების რეგისტრაცია და ლ.მ-ს შესახებ ინფორმაციის არაოფიციალურად გაცნობა, ასევე, პედაგოგთან დაკავშირებულ საკითხზე არაოფიციალურად შეძლო დოკუმენტების ჩაბარება რაც სკოლის მხრიდან გადაცდომა და დარღვევაა. ყოველივე ეს ადვოკატმა მოსწავლის მშობლის თანხმობის გარეშე გააკეთა. ამას გარდა განცხადებაზე პასუხი არ ეცნობა, მას. ამდენად, ოფიციალურად მოხდა თუ არა საკითხის მოკვლევა ლ.მ-ს მშობლისთვის უცნობია, არ მოხდა მისი ინფორმირება.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სკოლამ, საქართველოს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში გადმოგზავნილ წერილში განმარტა (დანართი N5) რომ მომჩივანი მშობლის ადვოკატის მიერ წარმოდგენილი იყო საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის დაცვის ორდერი #534/24, რომლის საფუძველზე სკოლაში მოვლენილ პირს მინიჭებული ჰქონდა ლ.მ-ს და მისი მშობლის ინტერესის დაცვის უფლება. სკოლისთვის ცნობილი იყო ფაქტი ადვოკატის არსებობის შესახებ, რამდენადაც მომჩივანი დაუკავშირდა სკოლის საქმისმწარმოებელს და აცნობა, რომ მის უფლებებს ადვოკატი დაიცავდა. რაც შეეხება იმ ფაქტს, რომ ადვოკატს არ ჰქონდა წარმოდგენილი მინდობილობა, აქ დარღვევა არ იკვეთება, რამდენადაც ადვოკატმა წარუდგინა მათ ადვოკატობის ორდერი. ექსპერტთა მიერ გადამოწმდა აღნიშნული https://old.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/ganmarteba21.pdf და დაადგინა, რომ - საქართველოს უზენაესმა სასამართლოს განმარტება გააკეთა სამოქალაქო საქმის განხილვაში ორდერის საფუძველზე მონაწილე ადვოკატის უფლებამოსილების ფარგლებთან (მოცულობასთან) დაკავშირებით (საქმე #ას-1614- 1608-2011 და საქმე #ას-1269-1289-2011). საკასაციო პალატის განამარტებით, ადვოკატის ორდერი, ისევე როგორც მინდობილობა, წარმოადგენს სასამართლოში საქმის წარმოების შესახებ ადვოკატის უფლებამოსილების დამადასტურებელ დოკუმენტს, რომელიც უფლებას აძლევს ადვოკატს მარწმუნებლის სახელით შეასრულოს ყველა საპროცესო მოქმედება, გარდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 98-ე მუხლში ჩამოთვლილი საპროცესო მოქმედებებისა. მითითებული ნორმის მიხედვით, უფლებამოსილება სასამართლოში საქმის წარმოების შესახებ უფლებას აძლევს წარმომადგენელს, მარწმუნებლის სახელით შეასრულოს ყველა საპროცესო მოქმედება, გარდა სარჩელის აღძვრისა, არბიტრაჟისათვის საქმის გადაცემისა, სასარჩელო მოთხოვნაზე მთლიანად ან ნაწილობრივ უარის თქმისა, სარჩელის ცნობისა, სარჩელის საგნის შეცვლისა, მორიგებისა, სასამართლო გადაწყვეტილების გასაჩივრებისა, სააღსრულებო ფურცლის გადასახდევინებლად წარდგენისა, მიკუთვნებული ქონების ან ფულის მიღებისა. წარმომადგენლის უფლებამოსილება ამ მუხლში აღნიშნული თითოეული მოქმედების შესრულებისათვის სპეციალურად უნდა იქნეს აღნიშნული მარწმუნებლის მიერ გაცემულ მინდობილობაში. დასახელებული ნორმა ადგენს იმ საპროცესო მოქმედებების ამომწურავ ჩამონათვალს, რომელთა შესრულების უფლებაც არა აქვს წარმომადგენელს სპეციალური მინდობილობის გარეშე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საქართველოს კანონის „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" , მე-3 მუხლის, „გ" პუნქტის თანახმად მონაცემთა დამუშავება არის – მონაცემთა მიმართ შესრულებული ნებისმიერი მოქმედება, მათ შორის, მათი შეგროვება, მოპოვება, მათზე წვდომა, მათი ფოტოგადაღება, ვიდეომონიტორინგი ან/და აუდიომონიტორინგი, ორგანიზება, დაჯგუფება, ურთიერთდაკავშირება, შენახვა, შეცვლა, აღდგენა, გამოთხოვა, გამოყენება, დაბლოკვა, წაშლა ან განადგურება, აგრეთვე მონაცემთა გამჟღავნება მათი გადაცემით, გასაჯაროებით, გავრცელებით ან სხვაგვარად ხელმისაწვდომად გახდომით; ამავე მუხლის „მ"პუნქტის თანახმად - მონაცემთა სუბიექტის თანხმობა – მონაცემთა სუბიექტის მიერ შესაბამისი ინფორმაციის მიღების შემდეგ მის შესახებ მონაცემთა კონკრეტული მიზნით დამუშავებაზე აქტიური მოქმედებით, წერილობით (მათ შორის, ელექტრონულად) ან ზეპირად, თავისუფლად და მკაფიოდ გამოხატული ნება;

ამავე კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად არასრულწლოვანის შესახებ მონაცემთა დამუშავება მისი თანხმობის საფუძველზე დასაშვებია, თუ მან 16 წლის ასაკს მიაღწია, ხოლო 16 წლამდე არასრულწლოვანის შესახებ მონაცემთა დამუშავება – მისი მშობლის ან სხვა კანონიერი წარმომადგენლის თანხმობით, გარდა კანონით პირდაპირ გათვალისწინებული შემთხვევებისა, მათ შორის, როდესაც მონაცემთა დამუშავებისთვის აუცილებელია 16 წლიდან 18 წლამდე არასრულწლოვანისა და მისი მშობლის ან სხვა კანონიერი წარმომადგენლის თანხმობა.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სკოლის დარღვევა არ იკვეთება.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სკოლის მიერ შემუშავებული პერსონალურ მონაცემთა დაცვის მექანიზმები სრულ შესაბამისობაშია ახალ კანონთან და სკოლას ჰყავს სერტიფიცირებული პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი.

საჩივრის ბოლოს ადვოკატი ითხოვს:

1.მოხდეს ლ.მ-ს მშობლის ოფიციალური ინფორმირება მის განცხადებასთან დაკავშირებული წარმოების ჩატარებისა და შედეგის თაობაზე;

2.გადაწყდეს სკოლის მასწავლებლის და დირექტორის პასუხისმგებლობის საკითხი;

3.უზრუნველყოფილ იქნას ლ.მ-ს სკოლაში დაბრუნება და მისი ღირსების, რეპუტაციის აღდგენა;

4.უზრუნველყოფილ იქნას სკოლის ხელმძღვანელობისა და მასწავლებლების არაპროფესიონალიზმის შედეგად, ლ.მ-სათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება სრული მოცულობით;

ადვოკატი თავის სარჩელში, სხვა საკითხებთან ერთად, მიუთითებს ბავშვის უფლების დარღვევის შესახებ და განმარტავს, რომ ბავშვთა უფლებების კონვენცია ყველა იმ ხელშეკრულებას შორის, რომელიც ადამიანის უფლებებს ეხება, ყველაზე აღიარებულ დოკუმენტად მიიჩნევა. აღნიშნულ კონვენციას საქართველო 1994 წელს შეუერთდა და ამით აიღო კონვენციის შესრულების ვალდებულება. კონვენცია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ემყარება ოთხ ძირითად პრინციპს, რომელთა გათვალისწინებაც აუცილებელია ამ კონვენციის ეროვნულ დონეზე რეალურად განხორციელებისათვის. კონვენციაში გამოკვეთილი თითოეული უფლება ეხება ყველა ბავშვს ყოველგვარი დისკრიმინაციული გამონაკლისის გარეშე (მუხლი 2); ბავშვის მიმართ ნებისმიერი ქმედების განხორციელებისას უპირველესი ყურადღება ეთმობა ბავშვის ინტერესების დაცვის უკეთ უზრუნველყოფას (მუხლი 3); ბავშვებს აქვთ სიცოცხლისა და ჯანსაღი განვითარების უფლება (მუხლი 6); ნებისმიერ საკითხზე, რომელიც ეხება ბავშვს გათვალისწინებულ უნდა იქნეს მისი შეხედულებები (მუხლი 12).

ა/წლის 15 აგვისტოს ლ.მ-ს დედამ განცხადებით მიმართა ასევე საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტს (დანართი N3) და წარუდგინა დამატებითი მტკიცებულებები: გასული წლების, მოსწავლის მშობელთა მიმოწერის ამსახველი მასალა (დანართები N14-17), სადაც მშობლები პრეტენზიებს გამოთქვამენ მასწავლებლების და დამრიგებლის მიმართ; სკოლის იურისტთან მიმოწერის ამსახველი მასალა (დანართი 17-ის ნაწილი), სადაც მშობელი პრეტენზიას გამოთქვამს იურისტთან ლ.მ.-ს გამოსამშვიდობებელი ღონისძიებასთან დაკავშირებით კლასის მშობლების არ გაფრთხილებასთან დაკავშირებით; თანაკლასელის მშობელთან კლასის საჭიროებისთვის გადარიცხვების დამადასტურებელი საბანკო ამონაწერი (დანართი N18, მიზანი დაუდგენელია); მოსწავლის მათემატიკის დავალებების ფოტო მასალა (დანართები N8-13), რითაც ამტკიცებს, რომ კარგი ნამუშევრების მიუხედავად, მასწავლებელს არსად აქვს დადებითი მინაწერი, რასაც სხვა ბავშვების შემთხვევაში აკეთებდა და დამრიგებლის მიერ მოსწავლის დასჯის, ჩაგვრის და არათანაბარ პირობებში ჩაყენების 10 ფაქტი.

სკოლამ აღნიშნულზე პასუხად ა/წლის 4 ივლისს განათლების ხარისხის ეროვნულ ცენტრს წერილობით აუხსნა საქმის ვითარება და დანართის სახით გაუგზავნა ლ.მ-ს დედის განცხადება სკოლისადმი, რომელშიც აღწერილია ინციდენტი საპირფარეშოში, დირექტორის როლი საკითხის მოგვარებაში, დამრიგებლის როლი საქმის გართულებაში, გაღიზიანებული მშობლების რეაქცია აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. სკოლამ წარმოადგინა ასევე დისციპლინური კომიტეტის სხდომის ოქმი, კლასის დამრიგებლის ახსნა-განმარტება, სკოლის დირექტორის ბრძანება დამრიგებლისთვის სახდელის დაკისრების თაობაზე და აღნიშნული კლასის მშობელთა განცხადებები, რომლებიც დადებითად საუბრობენ სკოლაზე და თანადგომას უცხადებენ კლასის დამრიგებელს.
დისციპლინური კომიტეტის სხდომის ოქმის თანახმად, როგორც უკვე აღინიშნა, დამრიგებელს გაფრთხილება გამოეცხადა მშობლებთან არასწორი კომუნიკაციის გამო. რაც შეეხება მასწავლებლის არაპედაგოგიურ ქმედებებს ლ.მ-ს მიმართ, სკოლის განმარტებით მათ მიიღეს გადაწყვეტილება მოეკვლიათ საკითხი და მას შემდეგ მიეღოთ შესაბამისი გადაწყვეტილება.

საქმის ვითარებაში უკეთ გარკვევის მიზნით, ვიზიტის დღეს, ექსპერტთა მიერ განხორციელდა გასაუბრება სკოლის დირექციასთან,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან, სკოლის იურისტთან, ფსიქოლოგთან, დამრიგებელთან, აღნიშნული კლასის მასწავლებლებთან და მშობლებთან. დადგინდა შემდეგი: კლასის მასწავლებლები ლ.მ-ს ახასიათებენ დადებითად, ნიჭიერ მოსწავლედ და აღნიშნავენ, რომ შენიშვნაც კი არ მიუციათ მისთვის. სპორტის მასწავლებლები (შარშან მასწავლებელი შეეცვალათ) აღნიშნავენ, რომ ხშირ შემთხვევაში ლ.მ-ს სთხოვდნენ ილეთების ჩვენებას სხვა მოსწავლეებისთვის, რადგან მას ყველაფერი კარგად გამოსდიოდა. მუსიკის მასწვლებელმა აღნიშნა, რომ შარშან ლ.მ-ს აღარ მოსწონდა სიმღერების სწავლა, მაგრამ მასწავლებლის თხოვნით, როდესაც აუხსნა, რომ ის ძალიან საჭირო იყო ღონისძიების ჩასატარებლად, ლ.მ.-მ არ გაუცრუა იმედები და იმღერა ღონისძიებაზე.

სატელეფონო გასაუბრება განხორციელდა მომჩივან მშობელთან, რომელმაც აღნიშნა, რომ მას სურს შვილის ამ სკოლაში დაბრუნება, რამდენადაც ამ ინციდენტამდე არასოდეს ჰქონია პრობლემა (მისი უფროსი შვილიც ამ სკოლაში სწავლობს დღემდე), მაგრამ ითხოვს დამრიგებლის მხრიდან ბოდიშს, მის გამოყვანას კლასიდან და მისი შვილის ღირსების და რეპუტაციის აღდგენას. პირად საუბარში ქალბატონს დირექტორი არ უხსენებია. მას მერე რაც ლ.მ.-ს მშობელმა გაიგო, რომ კლასს ეყოლება 2 დამრიგებელი, აღარ გამოუთქვამს პრეტენზია მისი (დამრიგებლის) კლასიდან გამოყვანის თაობაზე.

გასაუბრება განხორციელდა კლასის დამრიგებელთან, რომელსაც სრულად აქვს გააზრებული სიტუაციის სიმძაფრე, რამდენადაც, როგორც თავად აღნიშნავს ძალიან უყვარს ლ.მ., განიცდის მის დღევანდელ მდგომარეობას, აანალიზებს მის მიერ დაშვებულ გადაცდომებს და სურს მისი კლასში დაბრუნება.

ვიზიტის პერიოდში ექსპერტთა თხოვნით განხორციელდა შეხვედრა 4[5] კლასის 6 მშობელთან. რომლებმაც აღნიშნეს რომ არანაირი პრობლემა არ აქვთ ლ.მ.-სთან, მაგრამ მის დედასთან ურთიერთობა არ სურთ, რადგან ის ხშირად ურეკავს მათ და აწუხებს. მათ დადებითად დაახასიათეს ლ.მ., აღნიშნეს, რომ იგი მეგობრული ბავშვია, მათ შვილებს კარგი დამოკიდებულება აქვთ მასთან (დ-ს მშობლის გარდა, ეს ის მოსწავლეა, რომელთანაც მეგობრობდა ლ.მ. და რომელთანაც მოხდა აღნიშნული ინციდენტი საპირფარეშოში. დ-ს დედის განმარტებით მას არ სურს ლ.მ.-ს დაბრუნება, რამდენადაც არ სურს მის დედასთან ურთიერთობა. ის დღემდე დარწმუნებულია, რომ ლ.მ. და დედამისი მის შვილს არასათანადოდ ექცეოდნენ. მან მაგალითად მოიყვანა ის, რომ ლ.მ-ს დედამ ორივე ბავშვი წაიყვანა გასართობად, ორივეს მონაწილეობა მიაღებინა, „რაღაც" სპორტულ ღონისძიებაში და საღამოს დ-ს დედას უთხრა, რომ მისი შვილი არასპორტულია, რაც დ-ს მშობლისთვის შეურაცხმყოფელი აღმოჩნდა. მან ასევე აღნიშნა, რომ არ სურს ლ.მ-ს უკან დაბრუნება, რადგან მის შვილს აღარავინ ერჩის, და მან პოპულარობა მოიპოვა კლასში).

რაც შეეხება სკოლის დირექციას, ისინი ასევე მზადყოფნას გამოთქვამენ ლ.მ-ს სკოლაში დაბრუნებასთან დაკავშირებით და აღნიშნავდნენ, რომ თავიდანვე წინააღმდეგები იყვნენ მისი სხვა სკოლაში გადაყვანასთან დაკავშირებით, რაც არა ერთხელ უთხრეს მშობელს.

ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო ასევე სკოლის მარეგულირებელ დოკუმენტაციას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შესწავლილ იქნა **სადამრიგებლო დებულება**, რომელიც დამტკიცებულია სკოლის დირექტორის ბრძანებით N05/55 14.09.2020. აღნიშნულ დოკუმენტში გაწერილია სადამრიგებლო საათის ფარგლები ჩასატარებელი სასაუბრო თემები, როგორიცაა, „ბულინგი“, „ტოლერანტობა“, აღწერილია დამრიგებლის ვალდებულებები. **მუხლი 4.2-ის თანახმად** დამრიგებლის მთავარი ვალდებულებაა შემოქმედი, აქტიური პიროვნების აღზრდა, რამდენადაც ყველა ბავშვი უნიკალურია. მოსწავლეები ერთმანეთისგან ნიჭითა და შესაძლებლობებით განსხვავდებიან, ამდენად, დამრიგებლის მთავარი ფუნქციაა მათში ნიჭისა და ძლიერი მხარეების აღმოჩენა, მოსწავლის შინაგანი ძალების აქტივაცია, ნიჭისა და შესაძლებლობების გამოვლენისათვის პირობების შექმნა, ძლიერი მხარეების აღმოჩენა. **მუხლი 7.3-ის თანახმად** დამრიგებელი ვალდებულია ასევე სასწავლო წლის დაწყებისას მოსწავლეებსა და მშობელს გააცნოს სკოლის შინაგანაწესი და სხვა მნიშვნელოვანი დოკუმენტაცია.

სკოლამ წარმოადგინა 3[5]კლასის დამრიგებლის ანგარიში, რომლის თვითშეფასების ნაწილში იგი აღნიშნავს, რომ მისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი და დასაფიქრებელი იყო სიტუაცია კლასში, რომლის მოგვარება და წარმოქმნილი პრობლემის გადაჭრა, სამწუხაროდ, ვერ მოახერხა. პროცესები უმართავი გახდა. მიუხედავად იმისა, რომ ხშირად განიხილავდნენ კლასში სხვადასხვა სიტუაციურ ამოცანებს, სახავდნენ დილემებს და უყურებდნენ სხვადასხვა ანიმაციებს, ფსიქოლოგიც სტუმრობდა კლასს და განიხილავდნენ სხვადასხვა სიტუაციებს, მაინც ვერ მოხერხდა პრობლემის მოგვარება. იგი ფიქრობს, რომ კარგი იქნებოდა უფრო მეტი ემუშავა მოსწავლეებს შორის კონფლიქტის გამომწვევი მიზეზების დადგენაზე და რეალურად დარწმუნებულიყო, რომ პრობლემა მოგვარებულია. მისი აზრით, იგი მხოლოდ საკუთარ ძალებს არ უნდა დაყრდნობოდა, უნდა მიემართა უფრო გამოცდილი მასწავლებლებისთვის და მათთგან მიეღო კონსულტაციები თუ როგორ გამკლავებოდა კლასში წარმოქმნილ პრობლემებს, რა გზებისთვის მიემართა მშობლებთან ეფექტიანი კომუნიკაციის დასამყარებლად, რა ლიტერატურას გაცნობოდა, და რა დამატებითი აქტივობები უნდა შეეტანა კლასში.

დამრიგებელმა წარმოადგინა **პორტფოლიო,** რომლითაც დგინდება, რომ სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად მას მიმდინარე სასწავლო წლისთვის დაგეგმილი აქვს ყურადღება დაუთმოს **სადამრიგებლო საათის ისეთ თემებს, როგორიცაა: უფლებები, მავნე ჩვევების საფრთხე, გარემოსდაცვითი ცნობიერების ჩამოყალიბება, კონფლიქტების არაძალადობრივი მეთოდებით გადაჭრის გზების ძიების სწავლება, ცნება „თანაკლასელი“, დროის ორგანიზება და სხვა.**

სკოლამ წარმოადგინა ასევე დამრიგებლის მ.შ-ს პროფესიული განვითარების გეგმა (2024-2025), რომლითაც განსაზღვრულია სხვადასხვა მიმართულებით განვითარების ხელშეწყობის მიზნით, წამყვანი/მენტორი პედაგოგის კონსულტაციები; პედაგოგების მიერ ურთიერთსწავლება; პარალელური კლასების მასწავლებელთა შეხვედრებში მონაწილეობა; ტრენინგში/სემინარში მონაწილეობა; აღმზრდელობითი მუშაობის კუთხით ეფექტური პრაქტიკის შესახებ პროფესიული ლიტერატურის მიმოხილვა; მშობლებთან ურთიერთობის კუთხით ეფექტური პრაქტიკის შესახებ პროფესიული ლიტერატურის მიმოხილვა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სკოლა-ლიცეუმის დირექტორის ბრძანებით N05/59, 09.09.2024, 4[5] კლასში დამრიგებლისთვის ტუტორი მასწავლებელი დაინიშნა. ტუტორი მასწავლებლის მხრიდან დამრიგებელთან ერთად შემუშავებულია **2024-2025 სასწავლო წლის** პროფესიული განვითარების ინდივიდუალური სამოქმედო გეგმა, **რომელიც სხვა საკითხებთან ერთად გულისხმობს მოსწავლეთა სწავლის ხელშეწყობის მიზნით კოლეგებთან თანამშრომლობას. როგორც ირკვევა დამრიგებელთან ჩატარდა 2 შეხვედრა, რომლის შესახებ მ.შ-ს მიერ შექმნილი დღიური მოწმობს. პირველი შეხვედრა გაიმართა 2024 წლის** 12 სექტემბერს, ფასილიტაციის მიზნით, დაწყებითი საფეხურის წამყვანი პედაგოგი, გაეცნო მ.შ-ს სამუშაო გამოცდილებასა და პედაგოგიურ მოღვაწეობას. სიღრმისეულად განიხილეს კონკრეტული პრობლემა, რომელიც წინა სასწავლი წლის ბოლოს წარმოიქმნა მ.შ.-ს კლასში. კერძოდ მოსწავლეთა შორის შექმნილი კონფლიქტი ეფექტიანად ვერ მოგვარდა, იქცა მშობელთა დაპირისპირების მიზეზად და დასრულდა კონფლიქტში მონაწილე ერთ-ერთი მოსწავლის სკოლიდან გადასვლით. **ერთბლივად მოხდა** სამუშაო გეგმის შემუშავება და შეხვედრების გრაფიკის შედგენა. როგორც მ.შ. აღწერს **(დღიური 2.)** პირველი შეხვედრიდან გამომდინარე, ფასილიტატორმა შესთავაზა მას სიტუაციური ამოცანები, სთხოვა ადგილზე განეხილა ერთ-ერთი ამოცანა და მოეფიქრებინა პრობლემის გადაჭრის გზები. ფასილიტატორმა გააცნო მას მეთოდი, სახელად "სენდვიჩი", რომლის გამოყენებაც შედეგიანია არა მხოლოდ მოსწავლეებთან, არამედ მშობლებთან ურთიერთობის დროსაც, ეფექტიანი კომუნიკაციის დამყარებისა და პოზიტიური ურთიერთობების ჩამოყალიბებაში.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სკოლამ მიიღო გადაწყვეტილება და 4[5] კლასს დაუნიშნა მეორე დამრიგებელიც, რამდენადაც მოსწავლე ლ.მ.-ს დაბრუნების შემთხვევაში, მისი საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე, მისი მშობელი და თავად მოსწავლე დაცულები იყვნენ სხვა შეცდომებისგან, ხოლო მ.შ დარჩა ამავე კლასის დამრიგებლად, რამდენადაც სხვა მშობლებს არანაირი პრობლემა არ აქვთ მასთან და მათი შვილებიც ითხოვენ მ.შ.-ს დამრიგებლად დატოვებას. აღსანიშნია, რომ გასაუბრების შედეგებით და განხორციელებული აქტივობების შედეგებით თუ ვიმსჯელებთ, სკოლის დირექცია, კლასის მასწავლებლები, თავად დამრიგებელი სრულ მზადყოფნას გამოხატავენ ლ.მ.-ს სკოლაში დაბრუნებასთან დაკავშირებით და ყველა პირობას ჰქმნიან ამისთვის.

სკოლას შემუშავებული აქვს „მშობელთან ურთიერთობის დებულება", რომლის **მუხლი 3.3-ის** თანახმად მშობელი ვალდებულია: დაიცვას სხვისი პერსონალური მონაცემები, არ გაასაჯაროოს სკოლის შიდა აქტივობები, მიმოწერა სკოლის/კლასის ჯგუფებიდან, რაც მომჩივანი მშობლის მხრიდან არასწორ ქმედებად შეიძლება ჩაითვალოს, **რამდენადაც მან მშობელთა ჩატში მიმოწერა გამოიყენა, მათი ნებართვის გარეშე. დებულების მუხლი 3.4.** -ის თანახმად მშობელს უფლება აქვს: მოითხოვოს სკოლისგან მოსწავლისადმი სამართლიანი, ობიექტური და თავაზიანი დამოკიდებულება, რაც კლასის დამრიგებლის მხრიდან დაირღვა მოსწავლესთან მიმართებით (დაუსაბუთებელი ვარაუდის გამო, მოსწავლის შესახებ არაზუსტი ინფორმაციის გავრცელება სხვა მოსწავლეების მშობლებთან). **მუხლი 4.** დამრიგებლის ვალდებულებები მშობლებთან ურთიერთობისას ასევე დაირღვა. **პუნქტი 4.8**. მშობლისთვის/კანონიერი წარმომადგენლისთვის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინფორმაციის მიწოდების დროს არ დაუშვას მოსწავლის ღირსების შელახვა, უხეშობა. **მუხლი 7.** მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან ურთიერთობის ფორმა და პრინციპები. **პუნქტი 7.7** მშობლისთვის ინფორმაციის მიწოდების დროს მოსწავლის შეფასება უნდა იყოს ობიექტური, მრავალმხრივი და აუცილებლად პოზიტიურიდან პრობლემისკენ მიმართული. **ამ მუხლების არაჯეროვნად შესრულების გამო დამრიგებელს გამოეცხადა გაფრთხილება.**

თანამდებობრივი ინსტრუქციების თანახმად, რომელიც - დამტკიცებული სკოლის დირექტორის ბრძანებით N05/26/2. 04.01.2022 - საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერის ფუნქციებია:
2.1.6. გასაგზავნი წერილებისა და დოკუმენტაციის გაგზავნის ორგანიზება;
2.1.8. დირექტორთან შეთანხმებით საჯარო ინფორმაციის გავრცელება;
შესაბამისად საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერს ინფორმაცია უნდა მიეწოდებინა მომჩივანი მშობლისთვის დისციპლინური კომიტეტის სხდომის და შემდგომ მიღებული გადაწყვეტილების შესახებ. თუმცა სკოლის წარმომადგენლებმა ეს ახსნეს იმ მოტივით, რომ მოსწავლე გადასული იყო სხვა სკოლაში, მაგრამ გასათვალისწინებელია, რომ მშობელი კვლავაც ითვლებოდა სასკოლო საზოგადოების წევრად, რამდენადაც მისი უფროსი შვილი, კვლავ ამ სკოლაში სწავლობს.
შესაბამისად რეგულიაცია დარღვეულია.

საქმისწარმოების წესი - დამტკიცებული სკოლის დირექტორის ბრძანებით #05/48. 03.09.2020 (მუხლი 3) აღწერს შემოსული კორესპოდენციის აღრიცხვის წესს. ამ წესის **მუხლი 4-ში** - შემოსული რეგისტრირებული კორესპონდენციის განხილვის და მასზე პასუხის მომზადების წესი - არ არის მითითებული პასუხის მომზადების და გაგზავნის ვადები. არც იმაზეა საუბარი, თუ რა ფორმით უნდა გაიცეს პასუხი. **საქმისწარმოების წესი დასახვეწია.**

შინაგანაწესი - დამტკიცებულია 2021 წლის 8 სექტემბერს პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმით **მუხლი 8.2.1.** მასწავლებლი ვალდებულია არ მიაყენოს მოსწავლეს სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა და არ მოახდინოს მასზე **ემოციური** (ფსიქოლოგიური) ზეწოლა. ეს მუხლიც დარღვეულია, რამდენადაც მასწავლებლის არაპედაგოგიურმა ქმედებამ „გულსმიღმა“ ბავშვის დატოვებამ, არაერთხელ მოახდინა ბავშვზე ემოციური ზეგავლენა.
შინაგანაწესის (ახალი რედაქცია) - დამტკიცებულია 2024 წლის 9 სექტემბერს პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმით - **მუხლი 43. განსაზღვრავს სახდელებს:**
ა) შენიშვნა;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ბ) საყვედური;

გ) სასტიკი საყვედური;

დ) ათი სამუშაო დღით ხელფასის დაკავება;

ე) სამსახურიდან განთავისუფლება.

ამავე მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრულია დისციპლინური სახდელის სახით სასტიკი საყვედურის გამოყენება:

კერძოდ: 43.4.1.1.

ა) მოსწავლეზე ემოციური ან ფსიქოლოგიური ზეწოლისთვის;

ბ)მოსწავლის/დირექციის წევრის/ სკოლაში დასაქმებულის / მოსწავლის მშობლის ან კანონიერი წარმომადგენლის / სკოლის ტერიტორიაზე შემოსული გარეშე პირის სიტყვიერი შეურაცხყოფისთვის და სხვა.

სკოლის დისციპლინურმა კომიტეტმა, შინაგანაწესის თანახმად, გადაწყვეტილება მიიღო დამრიგებლისთვის გამოეცხადებინა გაფრთხილება, თუმცა ამ დოკუმენტის თანახმად, სახდელი „გაფრთხილება“ არ არის მოხსენიებული.

ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები - დოკუმენტით განსაზღვრულია საქმიანობის სტრატეგია, რომლის მეორე მიზანი მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებას ეხება. მუხლში 2.2. სკოლის მასწავლებელთა პროფესიული განვითარების მიზნით ღონისძიებების ორგანიზება, ჩამოთვლილია შემდეგი აქტივობი: 1. მასწავლებელთა საჭიროებების დადგენა და ინტერვენციების დაგეგმვა; 2. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების გეგმის შემუშავების უზრუნველყოფა; 3. მასწავლებელთა ტრენინგების ჩატარება 4. სკოლაში დასაქმებული დამწყები/ახალგაზრდა მასწავლებლებისთვის სწავლება-სწავლის მეთოდიკასთან დაკავშირებული ტრენინგების ჩატარება. იგივე აქტივობებია გაწერილი ასევე ხარისხის მართვის ჯგუფის 2024-2025 წლის სამოქმედო გეგმაშიც და იდენტიფიცირებულია ის ტრენინგები, რომლებიც სწავლა-სწავლების და კლასის მართვის გაუმჯობესებას ემსახურება. კერძოდ: ა) საგნობრივი კურიკულუმი; ბ) შემოქმედებითი დავალებების შექმნა; გ) განმავითარებელი შეფასების მეთოდები და ინსტრუმენტები; დ) დიფერენცირებული სწავლება; ე) კლასის მართვა - კონფლიქტების პრევენცია და კორექცია; ვ) მშობელთა ჩართულობა - ეფექტური კომუნიკაციის სტრატეგიები; 4. სკოლაში დასაქმებული დამწყები/ახალგაზრდა მასწავლებლებისთვის სწავლება-სწავლის მეთოდიკასთან დაკავშირებული ტრენინგების ჩატარება; 5. კონსულტაციებისა და სამუშაო შეხვედრების ორგანიზება.

ამავე დოკუმენტის **მუხლში 3.2**. მოსწავლეებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებისა და არაფორმალური განათლების ხელშეწყობა, გაწერილია აქტივობები რაც უზრუნველყოფს: 1. ინტერესების შესაბამისი სააღმზრდელო პროგრამების შემუშავებას; 2. კლასის დამრიგებლების გადამზადებას; 3. კლასის დამრიგებლის მიერ მრავალფეროვანი ღონისძიებების ორგანიზების ხელშეწყობას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გამოვლენილი მიგნებები:

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

ინდიკატორი 2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;

სკოლა-ლიცეუმმა ვერ წარმოადგინა, კონკრეტულ მასწავლებელთან მიმართებით, პრევენციული ღონისძიებების ამსახველი მტკიცებულებები, რამდენადაც ახალი მასწავლებელი წარმოადგენდა რისკ ფაქტორს და მასზე უნდა განხორციელებულიყო დაკვირვება, თუმცა სკოლამ და კერძოდ ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერმა წარმოადგინა **ინტერვენციული ღონისძიებების ამსახველი დოკუმენტები.** კერძოდ: მასწავლებელს დაენიშნა გამოცდილი ტუტორი (სკოლა-ლიცეუმის დირექტორის 2024 წლის 09 სექტემბრის ბრძანება N05/59 - „4[5] კლასში მ.უ.-ის ტუტორ მასწავლებლად დანიშვნის შესახებ“), რაც გამყარებულია შინაგანაწესის 4.2. მუხლით - დასაქმებული საკუთარ გამოცდილებას უნდა უზიარებდეს იმ კოლეგებს, რომელთა კვალიფიკაცია და სამუშაო გამოცდილება ამას საჭიროებს. კლასს დაენიშნა ასევე მეორე დამრიგებელი, რაც არსებული დამრიგებლის განვითარებისკენაა მიმართული (დირექტორის ბრძანება 05/61 18.09.2024 „მ. ჩ.-ს 4[5] კლასის დამრიგებლად დანიშვნის შესახებ“).

უნდა აღინიშნოს, რომ სკოლამ ახალი სასწავლო წლისთვის დაგეგმა ინტერვენციული ღონისძიებები კონკრეტული მასწავლებლის პროფესიული განვითარების მიზნით.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

ინდიკატორი 1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებისა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;

სკოლას აქვს პერსონალის შეფასებისა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები. სკოლა პერიოდულად იკვლევს პერსონალის საჭიროებებს, ამისათვის გამოიყენება გასაუბრება და კითხვარები. სკოლაში მოქმედებს მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და მხარდაჭერის ჯგუფი, რომელიც მუშაობას წარმართავს განსაზღვრული წესის საფუძველზე. **თუმცა კონკრეტულ შემთხვევაში სკოლას არ უწარმოებია დაკვირვება მასწავლებელზე (მ.შ). მხოლოდ პირველ კლასში ჰყავდა მას ტუტორი, ხოლო მეორე და მესამე კლასებში, იგი დამოუკიდებლად ხელმძღვანელობდა კლასს, მასზე დაკვირვების გარეშე. როგორც უკვე აღინიშნა, სკოლამ და კერძოდ ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერმა მიიღო გადაწყვეტილება, მას დაენიშნა ტუტორი და სამოქმედო გეგმის თანახმად, მასზე განხორციელდება დაკვირვება მისი განვითარების მიზნით.**

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორი 2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;
გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე სკოლის დირექციისა და ხარისხის მენეჯერის ჩართულობით დაიგეგმა და ხორციელდება კონკრეტული მასწავლებლის განვითარებაზე მიმართული ღონისძიებები.
ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3.3. პროცესის მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

ინდიკატორი 4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.
პერსონალისა და მოსწავლეთა უფლება-მოვალეობები გაწერილია სკოლის შინაგანაწესსა და შრომით ხელშეკრულებებში. მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის უფლებები კი განსაზღვრულია მოსწავლის მშობელთან გაფორმებული ხელშეკრულებით. შინაგანაწესით გაწერილია ასევე პერსონალის სამუშაოზე აყვანის პროცესში, თანამშრომლისთვის და მშობლებისათვის მათი უფლება-მოვალეობების და შიდასასკოლო რეგულაციების გაცნობის ვალდებულება. შინაგანაწესით განსაზღვრულია ასევე განცხადების/საჩივრის განხილვის წესი, რომლის თანახმად მოსწავლეს, მშობელსა და მასწავლებელს უფლება აქვთ, თავიანთი უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად გაასაჩივრონ სკოლის პერსონალის არამართლზომიერი ქმედებები, ასევე, სკოლის ადმინისტრაციის მიერ მიღებული ნებისმიერი გადაწყვეტილება, თუ მიაჩნიათ, რომ ილახება საქართველოს კანონმდებლობით ან/და სკოლის შიდა რეგულაციებით მათთვის გარანტირებული უფლებები. **როგორც უკვე აღინიშნა, სკოლამ, მშობლის საჩივრის საფუძველზე, მოიწვია დისციპლინური კომიტეტი, კონკრეტულ მასწავლებელთან მიმართებით, მაგრამ არ შეატყობინა მომჩივანს სხდომის ჩატარების შესახებ და არ გააცნო მას მიღებული გადაწყვეტილება, იმ მოტივით, რომ მშობელს მოსწავლე უკვე გადაყვანილი ჰყავდა სხვა სკოლაში, თუმცა სკოლამ არ გაითვალისწინა ის, რომ მშობელი კვლავ ითვლებოდა სასკოლო საზოგადოების წევრად, რამდენადაც მისი, უფროსი შვილი ამავე სკოლის მოსწავლეა.**
შესაბამისად, დასკვნის პროექტის ფარგლებში ინდიკატორის მოთხოვნები შეფასდა, როგორც არ შეესაბამება. თუმცა სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა მშობლის თ.ს-ს ადვოკატის 2024 წლის 16 ოქტომბრის „პასუხი განცხადებაზე N02/273“, რითაც დასტურდება, რომ იგი სკოლა ლიცეუმ მწიგნობართუხუცესში შესაბამისი ორდერის N534/24 საფუძველზე ახორციელებდა ლ.მ.-ს და მისი მშობლის თ.ს.-ს ინტერესების დაცვას, იგი 2024 წლის 15 მაისის განცხადებაზე რეაგირების მოთხოვნის მიზნით შეხვდა სკოლის დირექტორს და აღმასრულებელ დირექტორს. როგორც მის განცხადებაშია აღნიშნული - მხარეთა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კომუნიკაციის შედეგად 2024 წლის 21 მაისს სკოლის მიერ გამოიცა ბრძანება კლასის დამრიგებლის მ.შ.-ს დისციპლინური გადაცდომისა და სახდელის დადების შესახებ, რომელიც მან 2024 წლის 21 მაისს, გააცნო მომჩივან თ.ს-ს. აქედან გამომდინარე, სკოლის დარღვევა, ამ პუნქტთან მიმართებით არ დასტურდება.
ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება
3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა
ინდიკატორი 4 - სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;
ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის მიზნით სკოლას ჰყავს ფსიქოლოგი. სადამრიგებლო პროგრამები მიმართულია ბულინგისა და კონფლიქტების პრევენციისა და მოსწავლეებისათვის სოციალურ-ემოციური უნარების განვითარებისაკენ. **თუმცა კონკრეტული საქმის შესწავლის შედეგად, შეიძლება ითქვას, რომ კლასის დამრიგებელმა ვერ უზრუნველყო ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს შექმნა ლ.მ-სთვის** რამდენადაც მასწავლებლის არაპედაგოგიურმა ქმედებამ „გულსმიღმა“ ბავშვის დატოვებამ, ასევ დაუსაბუთებელი ვარაუდის გამო, მოსწავლის შესახებ არაზუსტი ინფორმაციის გავრცელებამ სხვა მოსწავლეების მშობლებთან, ზიანი მიაყენა მოსწავლეს და მოახდინა ბავშვზე ფსიქო-ემოციური ზეგავლენა. შესაბამისად დასკვნის პროექტის ფარგლებში შეფასდა, როგორც არ შეესაბამება.
აქვე უნდა აღინიშნოს, რომ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმით დგინდება, რომ ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის მიზნით სკოლა გააქტიურდა, დაგეგმა და დაიწყო განხორციელება რიგი აქტივობებისა, კერძოდ, კონკრეტული მასწავლებლის სადამრიგებლო მუშაობა მიემართა ბულინგისა და კონფლიქტების პრევენციისა და მოსწავლეებისათვის სოციალურ-ემოციური უნარების განვითარებას. პასუხისმგებლობა ამ საკითხების შესრულებაზე დაეკისრათ სკოლის დირექტორს, ხარისხის მენეჯერს, კონკრეტული მასწავლებლის ტუტორს და ამავე კლასის მეორე დამრიგებელს. დასტურად სკოლამ წარმოადგინა: ხარისხის მართვის ჯგუფის სამოქმედო გეგმა, ტუტორის სამოქმედო გეგმა, დამრიგებლის პორტფოლიო.
გამომდინარე აღნიშნულიდან ინდიკატორი შეფასდა როგორც „მეტწილად შესაბამისი“ და სკოლას მიეცა შესაბამისობის რეკომენდაცია - უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული აქტივობების გატარება, კერძოდ: უზრუნველყოს სადამრიგებლო მუშაობა ბულინგისა და კონფლიქტების წინააღმდეგ და მოსწავლეებში სოციალურ-ემოციური უნარების განვითარებისაკენ. გააგრძელოს კონკრეტული მასწავლებლის პროფესიული განვითარებაზე ზრუნვა, მასზე დაკვირვება და მთელი სკოლის მასშტაბით გაატაროს პრევენციული ღონისძიებები, რაც მიმართული იქნება ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო გარემოს განმტკიცებისაკენ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორი შეფასდა, როგორც მეტწილად შესაბამისი.

ინდიკატორი 6 - სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;

სკოლას ჰყავს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი და შემუშავებული აქვს შესაბამისი დებულება. თუმცა, მშობლებთან დადებულ ხელშეკრულებებში არ არის ასახული პერსონალურ მონაცემთან დაკავშირებული საკითხები და არც სხვა შეთანხმების დოკუმენტი ვიზიტის პერიოდში სკოლას არ წარმოუდგენია, **თუმცა არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად სკოლამ წარმოადგინა ხელშეკრულების დანართი, რომლითაც დგინდება, რომ მშობელი, პერსონალურ მონაცემთა გასაჯაროების საკითხზე, თანხმობას ამ ფორმით განახორციელებს. რამდენადაც ექსპერტები ვერ გავეცანით ხელმოწერილ დოკუმენტებს და ვერ ვადასტურებთ, რომ მშობლებს მოწერილი აქვთ ამ დანართზე ხელი, სკოლას მიეცა შესაბამისობის რეკომენდაცია: უზრუნველყოს სკოლის ყველა მშობლის მიერ ამ დოკუმენტის გაცნობა.**

ინდიკატორი შეფასდა, როგორც მეტწილად შესაბამისი.

3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

ინდიკატორი 1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;

ექსპერტთა მიერ შესწავლილ იქნა სკოლა-ლიცეუმის ,,საქმისწარმოების ერთიანი წესები", რომელიც დამტკიცებულია სკოლის დირექტორის მიერ N05/48 ბრძანებით. აღნიშნული დოკუმენტის **მუხლი 3** - აღწერს შემოსული კორესპოდენციის აღრიცხვის წესს. **მუხლი 4 -** შემოსული რეგისტრირებული კორესპონდენციის განხილვის და მასზე პასუხის მომზადების წესს - თუმცა მასში არ იყო მითითებული პასუხის მომზადების და გაგზავნის ვადები. არც იმაზე იყო საუბარი, თუ რა ფორმით უნდა გაიცეს პასუხი. **არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმით და დირექტორის მიერ 2024 წლის 14 ოქტომბრის N 05/68 ბრძანებით დგინდება, რომ ცვლილება შევიდა სკოლის საქმისწარმოების წესში და განისაზღვრა რეგისტრირებულ კორესპონდენციაზე მომზადებისა და პასუხის გაცემის ვადები. შესაბამისად სკოლას მიეცა რჩევა: უზრუნველყოს შემოსული რეგისტრირებული კორესპონდენციის განხილვის და მასზე პასუხის მომზადება განსაზღვრული ვადების დაცვით.**

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

ყოველივე ზემოაღნიშნულის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ: კონკრეტული საქმის შესწავლის შედეგად, დგინდება, რომ კლასის დამრიგებელმა ვერ უზრუნველყო ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს შექმნა ლ.მ-სთვის რამდენადაც მასწავლებლის არაპედაგოგიურმა ქმედებამ „გულსმიღმა" ბავშვის დატოვებამ, ასევე დაუსაბუთებელი ვარაუდის გამო, მოსწავლის შესახებ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

არაზუსტი ინფორმაციის გავრცელებამ სხვა მოსწავლეების მშობლებთან, ზიანი მიაყენა მოსწავლეს და მოახდინა ბავშვზე ემოციური ზეგავლენა. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის მიზნით სკოლამ დაგეგმა აქტივობები რომლებიც ამ მიმართულებით ცნობიერების ამაღლებას შეუწყობს ხელს. გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე სკოლის დირექციისა და ხარისხის მენეჯერის ჩართულობით დაიგეგმა და ხორციელდება ინტერვენციული ღონისძიებები კონკრეტული მასწავლებლის პროფესიული განვითარების მიზნით. რაც შეეხება სკოლის დირექციას, ლ.მ.-ს საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით, ისინი სრულ მზადყოფნას გამოთქვამენ ლ.მ-ს სკოლაში დაბრუნებასთან, და მისთვის (ისევე როგორც ყველა მოსწავლისთვის) უსაფრთხო ემოციური გარემოს შექმნასთან დაკავშირებით.

2024 წლის 22 ოქტომბერი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: